



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 27-45-25)

20 სექტემბერი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №287

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან
არსებული საზოგადოებრივი დარბაზის სხდომის მოწვევის თაობაზე**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 19 ივლისის №2 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 119-ე მუხლის შესაბამისად:

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მოწვეულ იქნეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული საზოგადოებრივი დარბაზის სხდომა მიმდინარე წლის 23 სექტემბერს 12.00 საათზე. (მის. ქ.ოზურგეთი, კოსტავას ქ.№1 საკრებულოს სხდომათა დარბაზი)
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ. №14)
3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ავთანდილ სურგულაძე